უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალმება ქრისტიანული კონფესიათაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის I ახალგაზრდული ფორუმის მონაწილეებისადმი

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.07.2022. *მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მისალმება გაუგზავნა ქრისტიანული კონფესიათაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის I ახალგაზრდული ფორუმის მონაწილეებს, რომელიც ქ. სარანსკში გაიხსნა 2022 წლის 19 ივლისს.*

ქრისტიანული კონფესიათაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის I ახალგაზრდული ფორუმის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს

ძვირფასო ძმებო და დებო!

გულითადად მივესალმები ყველა ორგანიზატორს, სტუმარსა და მონაწილეს I ახალგაზრდული ფორუმისას, რომელიც მორდოვის მიწაზე იმართება. ქრისტიანული კონფესიათაშორისო საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ამ ღონისძიების ჩატარება, არსებობს 1993 წლიდან როგორც ევრაზიის ქრისტიანთა სადიალოგო პლატფორმა.

დღევანდელი საკონფესიათაშორისო შეხვედრის თემა არის „ქრისტიანი ახალგაზრდები მედია სივრცეში", მისი მონაწილენი კი არიან მორწმუნე ჭაბუკები და გოგონები, რომელთა საქმიანობაც საკმაოდ მნიშვნელოვანია საინფორმაციო სფეროში.

აუცილებელია, რომ ახალგაზრდობამ შეძლოს, გამოიმუშავოს უფროს თაობასთან დიალოგის უნარი, უფროსი თაობა კი მზად იყოს ახალგაზრდების აზრების მოსასმენად. საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებულად გადმოცემის ცოდნა და სხვა ადამიანების შეხედულებებისადმი პატივისცემით მოკიდება – ფრიად ფასეული და სასარგებლო თვისებაა, რომელიც არა მხოლოდ თაობებს შორის კეთილი დიალოგის დამყარებას უწყობს ხელს, არამედ, ასევე, მოყგვასისადმი სიყვარულის შესახებ ქრისტეს უმნიშვნელოვანესი მცნების შესრულებასაც.

იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი ურთიერთობა იქნება ნაყოფიერი, აზრების გაცვლის წყალობით თქვენ შეძლებთ გაიფართოვოთ საკუთარი მსოფლმხედველობა და ერთმანეთს გაუზიაროთ პირადი სულიერი გამოცდილება. შესანიშნავი იქნება ასევე, თუკი დღევანდელი მოვლენა ახალ პერსპექტივებს გაუხსნის ქრისტეს შესახებ დამოწმებებს ამ ელვისებურად ცვალებად მედია სივრცეში.

მოვიხმობ თქვენზე ღვთის კურთხევას და თითოეულ თქვენგანს ვუსურვებ ფიზიკური და სულიერი ძალების სიმტკიცეს ქრისტე ნაცხოვრის კვალზე შემდგომ მსვლელობაში.

+კირილე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89480/